დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N 01/20 ოქმით

ცვლილება აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 ოქტომბრის N16/21 ოქმით
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2022 წლის 7 ნოემბრის N17/22 ოქმით
ცვლილება აკადემიური საბჭოს 2025 წლის 26 მარტის N03/25 ოქმით

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

COLLEGE

სარჩევი

თავი I - ხარისხის უზრუნველყოფა საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში 3

მუხლი 1. ზოგადი დებულებები..... 3

მუხლი 2. ხარისხის შეფასების ციკლი 3

მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები..... 4

თავი II - კოლეჯში მიმდინარე ძირითადი და დამხმარე პროცესების შეფასება 5

მუხლი 4. სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ხარისხის უზრუნველყოფა 5

მუხლი 5. სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება..... 5

მუხლი 6. სტუდენტების/მსმენელების მხარდამჭერი მექანიზმებისა და ღონისძიებების შეფასება..... 6

მუხლი 7. ადამიანური რესურსის განვითარების შეფასება 7

მუხლი 8. კოლეჯის მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შეფასება 7

მუხლი 9. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა მომზადების/გადამზადების პროგრამებზე .. 8

მუხლი 10. სწავლების ხარისხის შეფასება და პროგრამის განვითარება 8

მუხლი 11. დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა..... 8

თავი III - კვლევის მეთოდოლოგია 9

მუხლი 12. კვლევის მიმართულებები 9

1. პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა..... 9

2. კურსდამთავრებულების კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევა..... 10

3. დამსაქმებლების / პარტნიორების კვლევა 10

4. პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა 11

5. ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა..... 11

6. კვლევა ახალი პროგრამების დამატებისთვის 12

7. პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი..... 12

8. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მსმენელების გამოკითხვა..... 12

9. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე კურსდამთავრებულების კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევა 12

10. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განმახორციელებლების გამოკითხვა..... 12

11. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში ჩართული პარტნიორების გამოკითხვა..... 13

მუხლი 13. კვლევის მეთოდი, კვლევის ინსტრუმენტი და შედეგების ანალიზი..... 13

თავი IV - დასკვნითი დებულებები..... 13

მუხლი 14. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანართები 13

თავი I - ხარისხის უზრუნველყოფა საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (შემდგომში - მექანიზმები) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მოქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების და დაწესებულების წესდების საფუძველზე.
2. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევა/დადგენა, საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის, საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის და სწორი გადაწყვეტილების მიღება/ განხორციელება.

მუხლი 2. ხარისხის შეფასების ციკლი

1. კოლეჯში შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ეფუძნება კოლეჯში მიმდინარე ძირითად და დამხმარე პროცესებს, ამ პროცესების სისტემურ შეფასებას, არსებული ხარვეზების და ნაკლოვანებების აღმოჩენას, ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვას, განხორციელებას, განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვებას, კვლავ აღმოჩენილი განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვებას. კოლეჯში მიმდინარე ყველა პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად გამოიყენება **დემინგის ციკლი (PDCA): „დაგეგმა-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“**, რომლის მთავარი ღირებულებებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა.



- **დაგეგმვა (Plan) - მიზნისა და მიზნის მისაღწევი პროცესების განსაზღვრა.** აღნიშნული ნაწილის უზრუნველსაყოფად განისაზღვრება კოლეჯის საქმიანობის ასპექტები და კოლეჯის

სტრუქტურული ერთეულების ჩართვის თანმიმდევრობა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებების სიხშირე. განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, რესურსები და ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები. აღნიშნულ ეტაპზე ხდება სამოქმედო გეგმის შემუშავება, პერსონალის შეფასების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების შემუშავება. სამუშაოთა გრაფიკის შემუშავება და მათი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.

- **განახორციელე (Do) - პროცესის (ღონისძიებების) განხორციელება.** მერე ეტაპზე იწყება დაგეგმილი ღონისძიებებისა და პროცესების განხორციელება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებასა და გასაუმჯობესებელი საკითხების წინ წამოწევას. სისტემატური შემოწმების შედეგებმა შეიძლება მოითხოვოს ცალკეული პროგრამების ან მათში შემავალი კომპონენტების კორექტირება, გაუმჯობესების მიზნით გარკვეული ცვლილებების განხორციელება.
- **შეამოწმე (Check) - მიმდინარე პროცესსა და მიღებულ შედეგებზე მონიტორინგს, მიღწეული შედეგების შესაბამისობას დასახულ მიზანთან.** ამ ეტაპის მიზანია განხორციელებული ცვლილებების შედეგების შესწავლა და შეფასება. ანუ ამ ეტაპზე ფასდება რამდენად კარგად იმუშავა/არ იმუშავა წინა ეტაპზე განხორციელებულმა მექანიზმებმა/პროცესებმა/ცვლილებებმა და შემუშავდება რეკომენდაციები.
- **განავითარე (Act) - შესრულების პროცესის მუდმივი სრულყოფა.** ხდება მიღებული შედეგების/მონაცემების ანალიზი, დასკვნების გამოტანა, რეკომენდაციების შემუშავება და გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმა და განსაზღვრა. ხარვეზების და სტანდარტებთან შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია სამოქმედო გეგმის შემუშავება და ჩატარება.

მუხლი 3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

1. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას.
   1.2 ხარისხის შიდა შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ხელმძღვანელობით;
   1.3 გარე შეფასება გულისხმობს ავტორიზაციის პროცესში მიღებულ შეფასებებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. ასევე, მოწვეული ექსპერტების მიერ შეფასებას.
2. **კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი,** რომელიც, დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობს კოლეჯში არსებულ ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.
3. ზემოაღნიშნული დემინგის ციკლი (PDCA) ვრცელდება როგორც სწავლა-სწავლების, ასევე, დაწესებულებაში მიმდინარე სხვა თანმდევი პროცესების შესაფასებლად და ხარისხის უზრუნველსაყოფად.
4. ძირითადი პროცესების შეფასება:
   - **სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების შეფასება**
   - **სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება** (მათ შორის სტუდენტების/მსმენელების შეფასების სისტემა, განმახორციელებლების შეფასება, პროგრამების ფარგლებში გამოყენებული აღჭურვილობის შეფასება);
   - **პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მხარდამჭერი მექანიზმებისა და ღონისძიებების**

შეფასება (მათ შორის, პროფორიენტაციული და კარიერული განვითარების შეფასება და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის ანალიზი);

5. დამხმარე პროცესების შეფასება:

- **ადამიანური რესურსის განვითარების შეფასება;**
- **კოლეჯის მატერიალური, ფინანსური და საინფორმაციო რესურსის შეფასება** (მათ შორის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, უსაფრთხოების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის შეფასება).

თავი II - კოლეჯში მიმდინარე ძირითადი და დამხმარე პროცესების შეფასება

მუხლი 4. სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ხარისხის უზრუნველყოფა

1. სტრატეგიული დაგეგმვა და განვითარება კოლეჯში მიმდინარე ერთ-ერთი ძირითადი პროცესია.
2. სტრატეგიული განვითარების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესის შეფასებით (სამუშაო ჯგუფის შექმნა, გეგმის პროექტის შემუშავება, განხილვა, გაზიარება, დამტკიცება), გეგმის შუალედური მონიტორინგით (როგორ მიმდინარეობს დასახული ამოცანებისა და მიზნების შესრულება, საჭირო ხომ არ არის ცვლილებების განხორციელება), ცვლილებების შეტანით, წლიური ანგარიშით (შესრულდა თუ არა დასახული მიზნები). ასევე, სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესის შეფასებით (სამუშაო ჯგუფის შექმნა, გეგმის პროექტის შემუშავება, განხილვა, გაზიარება, დამტკიცება), გეგმის შუალედური მონიტორინგით (როგორ მიმდინარეობს დასახული ამოცანებისა და მიზნების შესრულება, საჭირო ხომ არ არის ცვლილებების განხორციელება), ცვლილებების შეტანით, წლიური ანგარიშით (შესრულდა თუ არა დასახული მიზნები). აღნიშნული პროცესები ხორციელდება კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

მუხლი 5. სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება

1. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში ძირითადი პროცესი არის სასწავლო პროცესი. სასწავლო პროცესისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მთავარი მიზანია, გამოავლინოს არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. აღნიშნული პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია დაწესებულების პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების სრული ჩართულობა.
2. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს რამდენიმე მიმართულებას.
   2.1 **ვერიფიკაცია** - ვერიფიკაცია გულისხმობს სტუდენტების/მსმენელების **შეფასების სისტემის** შეფასებას (შეფასების ინსტრუმენტი, მტკიცებულებები, შეფასების პროცესი). ვერიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები და პროცედურები რეგულირდება შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში მოქმედი **„ვერიფიკაციის მექანიზმებით“** (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N 03/20 ოქმით).
   2.2 **სასწავლო პროცესის მონიტორინგი** - სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯში მიმდინარეობს სასწავლო პროცესზე მუდმივი დაკვირვება

და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება. პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერისა ან/და სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება და შეფასების სისტემის მონიტორინგი. სასწავლო პროცესისა და შეფასების მონიტორინგის ფორმები დამტკიცებულია ამ წესის დანართის N1-ის შესაბამისად. ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი განიხილავს შედეგებს და, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

2.3 **კალენდარული გეგმა** - სასწავლო პროცესის შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად გამოიყენება ასევე, **კალენდარული გეგმები,** რომლის საშუალებითაც ხორციელდება სასწავლო პროცესის დაგეგმვა. ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი განიხილავს კალენდარულ გეგმებში მითითებულ მასწავლებლების კომენტარებს/რეკომენდაციებს, მოდულის მიმდინარეობასთან დაკავშირებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). კომენტარების მიხედვით, შესაძლებელია დასაკორექტირებელი იყოს სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საათების განაწილება. სასწავლო რესურსების ან თემატიკის ცვლილება და სხვ. აღნიშნულის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, განხორციელდება ცვლილების ინიცირება მოდულში.

2.4 **პროგრამის შეფასების შედეგები**

2.5 **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტების შუალედური შეფასების შედეგების ანალიზი**

2.6 **გამოკითხვები** - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით, შემდეგი შიდა მექანიზმი არის გამოკითხვები, სხვადასხვა მიმართულებით:

- **პროფესიული სტუდენტების/მსმენელების გამოკითხვა** - პროგრამების მოდულებისა და განმახორციელებლების შეფასება; სასწავლო პროცესის შეფასება; პროგრამის სასწავლო გარემოების შეფასება; პროგრამების ფარგლებში გამოყენებული სასწავლო რესურსის შეფასება; პროგრამების ფარგლებში გამოყენებული მასალა-ნედლეულის შეფასება.
- **მასწავლებლების გამოკითხვა** - პროგრამის მოდულების შეფასება; პროგრამის სასწავლო გარემოების შეფასება; პროგრამების ფარგლებში გამოყენებული სასწავლო რესურსის შეფასება; პროგრამების ფარგლებში გამოყენებული მასალა-ნედლეულის შეფასება.

მუხლი 6. სტუდენტების/მსმენელების მხარდამჭერი მექანიზმებისა და ღონისძიებების შეფასება

1. გარდა სასწავლო პროცესისა, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში, ხარისხის უზრუნველყოფა ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მხარდამჭერი მექანიზმების შეფასებას. ეს უკანასკნელი მოიცავს რამდენიმე მიმართულებას:

1.1 ***პროფორიენტაციული და კარიერული სერვისების შესახებ, ექსტრაკურიკულური აქტივობების შესახებ*** შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად რეკომენდაციების შემუშავება და რეაგირება საჭიროების შემთხვევაში (ანგარიშის წარდგენა დაწესებულების სამოქმედო გეგმის ვადების შესაბამისად)

1.2 ***გამოკითხვები*** :

სტუდენტების გამოკითხვა:

- ექსტრაკურიკულური აქტივობების და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის შეფასება;
- ადმინისტრაციისგან გაწეული მხარდაჭერის შეფასება;
- პროფორიენტაციული და კარიერული სერვისის შეფასება;

კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა.

მუხლი 7. ადამიანური რესურსის განვითარების შეფასება

1. ადამიანური რესურსების განვითარების შეფასება, როგორც დამხმარე პროცესი, საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის კიდევ ერთი ნაწილია, რომელიც შემდეგ მიმართულებებს მოიცავს:

1.1 ***გამოკითხვები***:

- პერსონალის კმაყოფილების შეფასება;
- პერსონალის განვითარების შეფასება

აღნიშნულ ანალიზს აკეთებს კანცელარიისა და ადამიანური რესურსების მენეჯერი

1.2 ***შიდა ტრენინგების*** ჩატარება პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის

მუხლი 8. კოლეჯის მატერიალური და საინფორმაციო რესურსის შეფასება

1. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა გულისხმობს, ასევე, ისეთი დამხმარე პროცესების შეფასებას, როგორიცაა: მატერიალური, ფინანსური და საინფორმაციო რესურსის შეფასება. საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში ზემოაღნიშნული რესურსების შეფასება ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით:

1.2 მატერიალური რესურსების შეფასება:

- ***ინვენტარის აღწერა/განახლება/შეკეთების*** შესახებ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ განხორციელებული ანალიზი;
- ***გამოკითხვები*** - სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსის შეფასება სტუდენტების/მსმენელების, მასწავლებლების, ადმინისტრაციის მიერ.

1.3 საინფორმაციო რესურსის შეფასება

- ***დაწესებულების IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასების*** შედეგების შესახებ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად რეკომენდაციების შემუშავება და რეაგირება საჭიროების შემთხვევაში (ანგარიშის წარდგენა დაწესებულების სამოქმედო გეგმის ვადების შესაბამისად)
- ***განათლების უზრუნველყოფის საინფორმაციო სისტემაში*** სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანის მუდმივი მონიტორინგი;
- ***დაწესებულების სოციალური ქსელისა და ვებ.გვერდის მუდმივი მონიტორინგი*** (მონიტორინგის საკითხები: ასრულებს თუ არა ვებ.გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, აქტიურად არის თუ არა გამოყენებული გვერდები, სისტემურად ახლდება თუ არა ინფორმაცია, შესაძლებელია თუ არა უკუკავშირის მიღება; მარტივია თუ არა ვებ.გვერდზე

ნავიგაცია; განთავსებულია თუ არა ყველა საჭირო ინფორმაცია დაწესებულებისა და პროგრამების შესახებ; მუდმივად დევს თუ არა განახლებული კატალოგი);

- ***ანონიმური ყუთი*** - საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯის ხარისხის ერთ-ერთი მექანიზმია ანონიმური ყუთი, რომლის მიზანია კოლეჯის პერსონალისა და სტუდენტების მხრიდან საკუთარი მოსაზრებების წარდგენა ანონიმურად, კოლეჯის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე. ანონიმურ ყუთთან დაკავშირებული საკითხები და პროცედურები რეგულირდება შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯის „ანონიმური ყუთის სარგებლობის ინსტრუქციით“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 მარტის N 10/22 ოქმით)
- ***გამოკითხვები*** - კოლეჯის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და მომსახურების შეფასება სტუდენტების/მსმენელების, მასწავლებლების, ადმინისტრაციის მიერ.

მუხლი 9. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა მომზადების/გადამზადების პროგრამებზე

1. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად მოწმდება:
   1.1 სასწავლო პროგრამები და პროგრამაში შემავალი ცალკეული კომპონენტები;
   1.2 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;
   1.3 სასწავლო გარემო (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა);
   1.4 მსმენელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში;
2. ხარისხის სრულყოფისათვის კოლეჯი იყენებს სასწავლო პროცესის განხორციელებაში ჩართული მხარეების უკუკავშირის მექანიზმებს, როგორიცაა მსმენელების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, კურსდამთავრებული, დამსაქმებლის მუდმივი გამოკითხვა.

მუხლი 10. სწავლების ხარისხის შეფასება და პროგრამის განვითარება

1. შეფასების მიზანია გამოავლინოს ხარვეზები, რისთვისაც აუცილებელია კოლეჯის ადმინისტრაციის, განმახორციელებელი პირებისა და მსმელების ჩართულობა.
2. ხარისხის უზრუნველყოფისთვის გამოიყენება შემდეგი ფორმები:
   2.1 განმახორციელებელი პირების გამოკითხვა;
   2.2 მსმენელთა გამოკითხვა;
   2.3 კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
   2.4 დამსაქმებელთა გამოკითხვა;
3. კოლეჯში შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესისა და პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად.
4. შედეგების ანალიზის შემდეგ გატარდება შესაბამისი ღონისძიებები.

მუხლი 11. დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა

1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, ხორციელდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი, რომლის ფარგლებშიც ხდება ლექციების ჩატარების აღრიცხვა, საჭირო სასწავლო მასალების ელექტრონულ პლატფორმაზე ხელმისაწვდომობის შეფასება, ლექციის ელექტრონულ რეჟიმში მიმდინარეობის ტექნიკური

გამართულობის შეფასება (არსებობის შემთხვევაში, სავალდებულოა აღმოჩენილი ტექნიკური ხარვეზის დაფიქსირება). შეფასებასა და მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელები.

2. შეფასებისა და მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია მუშავდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. რეკომენდაციები ეგზავნება კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესაბამისად, სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
3. დისტანციური სწავლების პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროფესიული მასწავლებლების გამოკითხვას, სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შეფასებისა და ამ პროცესით მათი კმაყოფილების კვლევის მიზნით შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. გამოკითხვის შედეგად ფასდება ლექციების მიმდინარეობა, ლექციების მიმდინარეობის ტექნიკური უზრუნველყოფა, მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, ინტერაქციის ხარისხი, სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა და ჩართულობა, კოლეჯის ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერა.
4. დისტანციური სწავლების პროცესის მიმდინარეობის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სტუდენტების გამოკითხვას, სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შეფასებისა და ამ პროცესით მათი კმაყოფილების კვლევის მიზნით შემუშავებული კითხვარის გამოყენებით. გამოკითხვის შედეგად ფასდება ლექციების მიმდინარეობა, ლექციების მიმდინარეობის ტექნიკური უზრუნველყოფა, სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხი, ინტერაქციისა და ჩართულობის შესაძლებლობა, კოლეჯის ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერა.
5. ონლაინ შეხვედრების, დისტანციური სწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს, რაც გათვალისწინებულია მათი გასაჯაროებისას. დისტანციური სწავლების პირობებში, საჯარო სივრცეში ონლაინ სასწავლო პროცესის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალის უნებართვოდ გავრცელების თავიდან აცილების მიზნით კოლეჯიუზრუნველყოფს თითოეული მხარის ინფორმირებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის შესახებ. კოლეჯისმხრიდან საჯარო სივრცეში პერსონალური მონაცემების შემცველი ფოტო/ვიდეო მასალის განთავსება ხდება მხოლოდ სტუდენტის/პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თანხმობის შემთხვევაში.

თავი III - კვლევის მეთოდოლოგია

მუხლი 12. კვლევის მიმართულებები

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში, დაწესებულების ძირითადი და დამხმარე პროცესების გაუმჯობესებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად, წლის განმავლობაში ტარდება კვლევები სხვადასხვა მიმართულებით:

1. პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა

- **მიზანი** - სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღება კოლეჯში მიმდინარე ძირითად და დამხმარე პროცესებთან/საკითხებთან დაკავშირებით, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზეც მოხდება ხარისხის გაუმჯობესება.
- **ამოცანები** - პროფესიული სტუდენტების მიერ:

- სასწავლო პროცესის, პროფესიული მასწავლებლების, პროგრამის/მოდულების შეფასება (მათ შორის, მოდულების ფარგლებში გამოყენებული აღჭურვილობის/მასალა-ნედლეულის, გარემოსა და სასწავლო რესურსის);
- ადმინისტრაციისგან გაწეული მხარდაჭერის შეფასება (ადმინისტრაციასთან ურთიერთობა, ინფორმირებულობა);
- კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შეფასება (მათ შორის, საბიბლიოთეკო და საინფორმაციო რესურსების, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, უსაფრთხოების);
- სტუდენტური მხარდაჭერის სერვისების შეფასება (მათ შორის, ექსტრაკურიკულური აქტივობების, ინიციატივების მხარდაჭერის, კარიერული და პროფორიენტაციული სერვისების მხარდაჭერა).
- დისტანციური სწავლების შეფასება

- **სამიზნე ჯგუფი** - შპს საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის სტუდენტები
- **პერიოდულობა:**
  - სასწავლო პროცესის/მოდულების/მასწავლებლების შეფასება - წელიწადში ერთხელ
  - სერვისების/რესურსების შეფასება - წელიწადში ერთხელ
  - დისტანციური სწავლების შეფასება - წელიწადში ორჯერ
- **პასუხისმგებელი** - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით

2. კურსდამთავრებულების კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევა

- **მიზანი** - კოლეჯის კურსდამთავრებულების შეფასებების, რეკომენდაციების, დასაქმების მაჩვენებლის შესწავლა, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზეც მოხდება პროგრამის განვითარება და ხარისხის გაუმჯობესება.
- **ამოცანები:**
  - კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის შესწავლა;
  - კურსდამთავრებულების მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგებით კმაყოფილების შესწავლა;
  - დაწესებულების როლის შესწავლა კურსდამთავრებულების დასაქმებაში.
- **სამიზნე ჯგუფი** - შპს საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის კურსდამთავრებულები
- **პერიოდულობა** - კურსდამთავრებულების გამოკითხვა იწყება თითოეული პროგრამის დასრულებიდან 12 თვის შედეგ და ტარდება წელიწადში ერთხელ.
- **პასუხისმგებელი** – ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით

3. დამსაქმებლების / პარტნიორების კვლევა

- **მიზანი** - გამოკითხვის მიზანია, დაწესებულებამ პარტნიორებისგან/დამსაქმებლებისგან მიიღოს უკუკავშირი თუ რამდენად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმები და სხვ.
- **ამოცანები** - დამსაქმებლის მიერ:
  - პროგრამის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგებით კმაყოფილების შესწავლა;
  - კურსდამთავრებულთა კომპეტენციებით კმაყოფილების შესწავლა;
  - დაწესებულებასთან თანამშრომლობით კმაყოფილების შეფასება.
- **სამიზნე ჯგუფი** - შპს საქართველოს უნივერსიტეტის კოლეჯის პარტნიორები და დამსაქმებლები

- **პერიოდულობა** - დამსაქმებლების/პარტნიორების გამოკითხვა წელიწადში ერთხელ.
- **პასუხისმგებელი** – ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით

4. პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა

- **მიზანი** - პროფესიული მასწავლებლების დამოკიდებულებების, შეფასებების, რეკომენდაციების შესწავლა კოლეჯში მიმდინარე ძირითად და დამხმარე პროცესებზე/საკითხებზე, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზეც მოხდება ხარისხის გაუმჯობესება.
- **ამოცანები** - პროფესიული მასწავლებლების მიერ:
  - პროგრამის/მოდულების შეფასება (მათ შორის, მოდულების ფარგლებში გამოყენებული მასალა-ნედლეულის, გარემოსა და სასწავლო რესურსის);
  - ადმინისტრაციისგან გაწეული მხარდაჭერის შეფასება;
  - კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის (მათ შორის, საბიბლიოთეკო და საინფორმაციო რესურსების, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, უსაფრთხოების,) შეფასება;
  - კოლეჯის მისიისა და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვის შეფასება;
  - საჭიროებების გამოვლენა და შეფასება
  - დისტანციური სწავლების შეფასება
- **სამიზნე ჯგუფი** - შპს საქართველოს კოლეჯის უნივერსიტეტის პროფესიული მასწავლებლები
- **პერიოდულობა:**
  - სასწავლო პროცესის/მოდულების/ შეფასება - წელიწადში ერთხელ
  - სერვისების/რესურსების/საჭიროებების შეფასება - წელიწადში ერთხელ
  - დისტანციური სწავლების შეფასება წელიწადში ორჯერ
- **პასუხისმგებელი** - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით

5. ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა

- **მიზანი** - ადმინისტრაციული პერსონალის დამოკიდებულებების, შეფასებების, რეკომენდაციების შესწავლა კოლეჯში მიმდინარე ძირითად და დამხმარე პროცესებზე/საკითხებზე, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზეც მოხდება ხარისხის გაუმჯობესება.
- **ამოცანები** - ადმინისტრაციული პერსონალის მიერ:
  - დაწესებულებისგან გაწეული მხარდაჭერის შეფასება
  - კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის (მათ შორის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, უსაფრთხოების, საბიბლიოთეკო და საინფორმაციო რესურსების) შეფასება;
  - საკუთარი საჭიროებების გამოვლენა და შეფასება
- **სამიზნე ჯგუფი** - შპს საქართველოს კოლეჯის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი
- **პერიოდულობა** - ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა ხორციელდება წელიწადში ერთხელ.
- **პასუხისმგებელი** - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით

6. **კვლევა ახალი პროგრამების დამატებისთვის**
   - **მიზანი** - შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით
   - **ამოცანები** - უკვე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევების ანალიზი, დამსაქმებლების გამოკითხვა, სკოლის მოსწავლეების გამოკითხვა, მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვა.
   - **პერიოდულობა** - აღნიშნული კვლევა ტარდება ყოველი ახალი პროგრამის დამატების წინ.
   - **პასუხისმგებელი** - დირექტორის მოადგილე

7. **პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი** (წელიწადში ერთხელ) - აღნიშნულ ანალიზს ახორციელებს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.

8. **პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მსმენელების გამოკითხვა**
   - **მიზანი** - მსმენელებისგან უკუკავშირის მიღება სასწავლო პროცესთან, კოლეჯის ინფრასტრუქტურასთან, პროცედურებთან, პროგრამებთან და სხვ. დაკავშირებით, რომლის გამოყენება მოხდება ხარისხის გასაუმჯობესებლად.
   - **ამოცანები** - პროგრამის შეფასება, განმახორციელებლების/ინსტრუქტორების შეფასება, სასწავლო პროცესის შეფასება, მატერიალური/სასწავლო რესურსის და სხვა შეფასება.
   - **სამიზნე ჯგუფი** - მოკლევადიანი პროგრამის მსმენელები
   - **პერიოდულობა** - მსმენელების გამოკითხვა ხორციელდება პროგრამის დასრულების შემდეგ.
   - **პასუხისმგებელი** - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით

9. **პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე კურსდამთავრებულების კმაყოფილებისა და დასაქმების კვლევა**
   - **მიზანი** - გამოკითხვის მიზანია, კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის შესწავლა. კურსდამთავრებული აფასებს პროგრამის მიზნებს, მიღწეული სწავლის შედეგებს, მათ საჭიროებას, საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აძლევს რეკომენდაციებს დაწესებულებას.
   - **ამოცანები** - პროგრამის შეფასება, სწავლის შედეგების შეფასება, მათი დასაქმების მაჩვენებლის შესწავლა
   - **სამიზნე ჯგუფი** - მოკლევადიანი პროგრამის კურსდამთავრებულები
   - **პერიოდულობა** - კურსდამთავრებულების გამოკითხვა ტარდება თითოეული პროგრამის დასრულებიდან 12 თვის შემდეგ.
   - **პასუხისმგებელი** – ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით

10. **პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განმახორციელებლების გამოკითხვა**
    - **მიზანი** - განმახორციელებლების მიერ პროგრამის შეფასება. განმახორციელებლების საჭიროებების შეფასება. შედეგების ანალიზის საშუალებით პროგრამისა და პროცესების გაუმჯობესება.
    - **ამოცანები** - პროგრამის შეფასება, სასწავლო პროცესის შეფასება, სასწავლო რესურსების შეფასება, განმახორციელებლების საჭიროებების შეფასება.
    - **სამიზნე ჯგუფი** - მოკლევადიანი პროგრამების განმახორციელებლები (მათ შორის პარტნიორი დაწესებულების ინსტრუქტორები)

- **პერიოდულობა** - განმახორციელებლების გამოკითხვა ხორციელდება პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ
- **პასუხისმგებელი** - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით

11. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში ჩართული პარტნიორების გამოკითხვა

- **მიზანი** - გამოკითხვის მიზანია, დაწესებულებამ პარტნიორებისგან მიიღოს უკუკავშირი თუ რამდენად შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს პროგრამა, სწავლის შედეგები, სასწავლო გეგმები და სხვ.
- **ამოცანები** - პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების შეფასება და მათი საჭიროებების შესწავლა
- **სამიზნე ჯგუფი** - მოკლევადიანი პროგრამის ფარგლებში ჩართული პარტნიორები
- **პერიოდულობა** - პარტნიორების გამოკითხვა ხორციელდება პროგრამის ერთი ციკლის წელიწადში ერთხელ.
- **პასუხისმგებელი** – ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით

შენიშვნა: წლის განმავლობაში, კოლეჯი უფლებამოსილია ჩაატაროს დამატებითი კვლევა, შემხვედრი საჭიროებებიდან გამომდინარე.

მუხლი 13. კვლევის მეთოდი, კვლევის ინსტრუმენტი და შედეგების ანალიზი

1. კვლევის მეთოდის შერჩევას განაპირობებს საკვლევი საკითხის სპეციფიკა. ეს შეიძლება იყოს:
   - 1.1 სატელეფონო ინტერვიუ
   - 1.2 გამოკითხვა / ელექტრონული გამოკითხვა
   - 1.3 ანკეტირება
   - 1.4 პირისპირი ინტერვიუ
   - 1.5 დაკვირვება
   - 1.6 შემთხვევის ანალიზი

2. შერჩეული კვლევის მეთოდების შესაბამისად, კვლევის ინსტრუმენტად გამოიყენება:
   - 2.1 ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი (თვისებრივი კვლევისთვის);
   - 2.2 სტრუქტურირებული კითხვარი (Google Form-ის გამოყენებით);
   - 2.3 სადისკუსიო გეგმა;
   - 2.4 ჩექ ლისტი.

3. მიღებული მონაცემების ანალიზისთვის, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოიყენება:
   - 3.1 აღწერითი სტატისტიკა (პროცენტი, სიხშირე, კორელაცია, კროსტაბულაცია)
   - 3.2 მონაცემების ნარატიული ანალიზი

*შენიშვნა: კვლევა რელევანტურია, თუ მასში მონაწილეობს რესპონდენტების **50%-ზე მეტი***

თავი IV - დასკვნითი დებულებები

მუხლი 14. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანართები

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დანართების სახით მოიცავს კვლევის კითხვარებს:

1.1 დანართი#1 - სასწავლო პროცესზე დასწრების/შეფასებაზე დასწრების ფორმა
1.2 დანართი#2 - პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი **(კითხვარი ფარავს ავტორიზაციის პირველ, მეორე, მეოთხე, მეხუთე სტანდარტს)**
1.3 დანართი#3 - პროფესიული სტუდენტის კითხვარი **(კითხვარი ფარავს ავტორიზაციის პირველ, მეორე, მესამე, მეხუთე სტანდარტს)**
1.4 დანართი#4 - ადმინისტრაციის კითხვარი **(კითხვარი ფარავს ავტორიზაციის პირველ, მეოთხე, მეხუთე სტანდარტს)**
1.5 დანართი#5 - პარტნიორის/დამსაქმებლის კითხვარი **(კითხვარი ფარავს ავტორიზაციის პირველ, მეორე, მესამე სტანდარტს)**
1.6 დანართი#6 - კურსდამთავრებულების კითხვარი **(კითხვარი ფარავს ავტორიზაციის პირველ, მეორე, მესამე სტანდარტს)**
1.7 დანართი#7 - მომზადებისა და გადამზადების პროგრამის მსმენელის კითხვარი
1.8 დანართი#8 - მომზადებისა და გადამზადების პროგრამის განმახორციელებლის კითხვარი
1.9 დანართი#9 - მომზადებისა და გადამზადების პროგრამის კურსდამთავრებულის კითხვარი
1.10 დანართი#10 - მომზადებისა და გადამზადების პროგრამის პარტნიორის კითხვარი
1.11 დანართი#11 - პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი დისტანციური სწავლების შეფასებისთვის
1.12 დანართი#12 - პროფესიული სტუდენტის კითხვარი დისტანციური სწავლების შეფასებისთვის

2. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, კითხვარების მოდიფიცირება (კითხვის ჩამატება/ამოღება) თითოეული კვლევის წინ.